სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№ 205

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ ვაჭარაძის სახით და მეორე მხრივ ი.მ. მარინე თარაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებისა და 2023 წლის 26 ივლისის №1544-03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა: ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები) ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით 2023 წლის აგვისტოს თვეში, დიდი ბრიტანეთიდან სტუმრად მოწვეული 2 (ორი) ღვინის ჟურნალისტისთვის (ბერტ ბლეიზი და ვიქტორია ბჟეზინსკი) ინგლისურენოვანი გიდის მომსახურების შესყიდვა (CPV-63514000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ამ ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის შესაბამისად. დანართი №1 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2023 წლის 8 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 650.00 (სამი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ/გაწეულ ყველა ხარჯს (მათ შორის ღამის თევის ხარჯები) და საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობით) გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად:

ა) უზრუნველყოს ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით 2023 წლის აგვისტოს თვეში, დიდი ბრიტანეთიდან სტუმრად მოწვეული 2 (ორი) ღვინის ჟურნალისტისთვის (ბერტ ბლეიზი და ვიქტორია ბჟეზინსკი) ინგლისურენოვანი გიდის მომსახურება 2023 წლის 8 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით ამ ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინასწარ შეატყობინოს „მიმწოდებელს“ დაგეგმილი მარშრუტი და მოსანახულებელი კულტურული ძეგლების ჩამონათვალი;

ბ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით დროულად მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისგან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი - ანა შეყლაშვილის.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ მომსახურების წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ელექტრონული ფორმით, რომელიც დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა (ბოლო დღე) ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან

არაჯეროვნად შესრულება გამიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტითა და დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დამოწმების/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე

შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით, ქართულ ენაზე, რომელიც დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	**ი.მ. მარინე თარაშვილი**
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ვაჭარაძე	მარინე თარაშვილი
ს/კ 204446965 **იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მ. გელოვანის გამზ. №32. **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი **ბ.კ.** TRESGE22; **ა/ა** 200122900 **ტელ.:** 2 97 41 03	**პ/ნ:** 20001000608 **იურიდ. მის.:** ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის 1 ჩიხი № 6. **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი“ **ბ/კ:** TBCBGE22 **ა/ა:** GE05TB7141836010100042 **ტელ.:** 593 907946 **ელ-ფოსტა:** Mywinetrailmwt@gmail.com
Zurab Vacharadze 01017008352 Digitally signed by Zurab Vacharadze Date: 2023.07.28 12:31:55	Marine Tarashvili 20001000608 Digitally signed by Marine Tarashvili Date: 2023.07.28 12:33:17
ზურაბ ვაჭარაძე	**მარინე თარაშვილი**

National Wine Agency Digitally signed by National Wine Agency Date: 2023.07.28 12:34:59 +04'00'

დანართი №1

თარიღი	გიდის მომსახურება	ჯამი (ლარი)
სტუმრების ინგლისურენოვანი გიდის მომსახურება (5 (ხუთი) დღე)		
08.08.2023	ტრანსფერი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან სასტუმროში	450.00
08.08.2023	**თბილისი-იმერეთის ტური** • ვიზიტი და ღვინის დეგუსტაცია სოფელ ობჩაში - მეღვინეობა „ბაიას ღვინო“; • ვიზიტი და ღვინის დეგუსტაცია - მეღვინეობა „ლაბარა“; • ვიზიტი და ვახშამი ქუთაისში - „ტინას ეთნო ღვინის მარანი“; • დაბინავება წყალტუბოში - სასტუმრო „წყალტუბო ლეგენდში“.	725.00
09.08.2023	**იმერეთი - სამეგრელო - თბილისის ტური** • ვიზიტი და ღვინის დეგუსტაცია - „მარანი ოდა“; • იმერული ღვინოების დეგუსტაცია და ლანჩი ქუთაისში - რესტორანი „ლილესთან“; • მცხეთის დათვალიერება; • ვახშამი თბილისში; • დაბინავება თბილისის სასტუმროში.	725.00
10.08.2023	**კახეთის ტური** • ვიზიტი და ღვინის დეგუსტაცია სიღნაღში - მეღვინეობა„ხოხბის ცრემლები“; • ვიზიტი, ღვინის დეგუსტაცია და ლანჩი - მეღვინეობა „კასრელი“; • ვიზიტი და ღვინის დეგუსტაცია - მეღვინეობა „ორგო“; • ვიზიტი, ღვინის დეგუსტაცია და ვახშამი - მეღვინეობა „შუმი“; • სტუმრების დაბინავება თელავის სასტუმროში;	650.00
11.08.2023	**კახეთი - თბილისის ტური** • ვიზიტი, მექვევრესთან სოფელ ვარდისუბანში; • ვიზიტი, სოფელ რუისპირში ღვინის დეგუსტაცია და ლანჩი მეღვინეობა „რტონში“; • გამგზავრება თბილისში; • ვახშამი; • სტუმრების დაბინავება სასტუმროში;	650.00
12.08.2023	ტრანსფერი სასტუმროდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტში.	450.00
მთლიანი ღირებულება		**3 650.00 ₾**

<u>**შემსყიდველი**</u>

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის მოადგილე

Zurab Vacharadze 01017008352
Digitally signed by Zurab Vacharadze
Date: 2023.07.28 12:32:13

ზურაბ ვაჭარაძე

National Wine Agency
Digitally signed by National Wine Agency
Date: 2023.07.28 12:34:30 +04'00'

<u>**მიმწოდებელი**</u>

ი.მ. მარინე თარაშვილი

Marine Tarashvili 20001000608
Digitally signed by Marine Tarashvili
Date: 2023.07.28 12:33:36

მარინე თარაშვილი